KA030185297562818

№ 01-938/ს **10 / აგვისტო / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის
შემსრულებლის მარიანა მკურნალის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ სოციალური დაცვის საერთაშორისო ასოციაციის (ISSA) ორგანიზებით მიმდინარე წლის 27-28 აგვისტოს შვეიცარიის კონფედერაციაში, ქ. ჟენევაში ტარდება ISSA-ს ასოციაციების ტექნიკური კომისიების მე-12 ფორუმი, რომლის მიზანია 2017-2019 წლების პროგრამის ბიუჯეტის შესაბამისად შედგენილი ტექნიკური კომისიების სამუშაო გეგმის შესრულების სტატუსის, მათ შორის ISSA-ს გაიდლაინების განხილვა, ინოვაციური პროგრამების გაცნობა და სოციალური დაცვის სფეროში 10 მსოფლიო გამოწვევის შესახებ მსჯელობა.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ბატონი მიხეილ დუნდუა.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ბატონი მიხეილ დუნდუასათვის მივლინების ბრძანების გაფორმებას მიმდინარე წლის 26 აგვისტოდან 29 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო მგზავრობას, სასტუმროს, დღიურ ნორმასა და დღიურ ნორმაზე დანამატს აანაზღაურებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

მარიანა მკურნალი